კვირა, 18 ივლისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 18 ივლისი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 166 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 166

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

| | |
|---|---|
| პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჰღირს | 6 მან. |
| „ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე | 5 „ 50 კაპ. |

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

| | |
|---|---|
| პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში | 2 მან. 75 კაპ. |
| „ „ „ „ ქალაქ გარედ | 3 „ 50 „ |
| „ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში | 2 „ 50 „ |
| „ „ „ „ ქალაქ გარედ | 3 „ — |

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მჭედლიანთან.

**ზორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

---

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—5)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აზეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობის.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელზი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზიერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

## ქართველნი მკურნალნი:

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

---

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა, სახლი მიღოვისა. № 5

---

**ბაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

---

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

---

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მოსინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ჰრ. ვ. ხოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ჰ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ცხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.

---

შავი ქვის მრეწველთა კრების

## საბჭო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება დართვით, საბჭოს ეძლევა ნება დააარსოს დაბ. ჭიათურაში ამ წლის ენკენისთვიდან ექვს-კლასიანი

## საქალაქო სასწავლებელი,

რომელსაც არ ექმნება მხოლოდ პირველი ორი განყოფილება.

იმ პირთ, ვისაც სურთ და აქვთ უფლება მიიღონ ადგილები: ინსპექტორისა, სამღვთო სჯულისა და მასწავლებლისა, საბჭო სთხოვს წარმოუდგინონ შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს ქუთაისში თვისი თხოვნები 26 ივლისამდე და ამავე რიცხვში, ამ თხოვნებთან ერთად, უნდა წარმოუდგინონ მოწმობანი იმის შესახებ, რომ აქვთ კანდიდატებს პრაქტიკა სწავლებაში, ქართულ ენაში და აგრეთვე ხაზვა-ხატვაში, თუ არა. წლიურ ჯამაგირებად დაენიშნებათ: ინსპექტორს—1760 მან. რჯულის მოძღვარს—480 მან., და მასწავლებელს—1008 მან. (3—6—3).

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში გ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

უადგილო კრცხვა.—მეომართა ჯარის რაოდენობა—იაპონელების მოქმედება.—მწერლობის წარმომადგენელნი.—ადმირალ ტოგოსთან—ვლადივოსტოკის ესკადრა.

თავადი მეშჩერსკი ძალიან ცხარობს, წურავინ ამტყუნებთ გენერალ გუროპატკინს, რომ აქამომდე ვერ გაიმარჯვაო:

«რატომ არ ჰფიქრობენ, რომ ეხლანდელი ომი 12,000 ვერსით არის დაშორებული მებრძოლ სახელმწიფოს შუა გულიდგან და ამიტომ უძნელეს ომთაგანია ცა და ქვეყნის დაარსებიდგან; ჩვენს ჯარს მეტი დაბრკოლება გადაჰლობებია გზაზედ, ვიდრე ჩვენს მტერს; ადგილობრივ ათასნაირი მიზეზი შეიძლება აბრკოლებდეს გენერალ კუროპატკინს და იმიტომ ის ამ პირობების მიხედვით იქცევა და არა ისე, როგორც ჩვენ გვინდა და 12,000 ვერსის სიშორეზედ გვეჩვენება; ჩვენი ჯარი მარტო ერთს მტერს კი არ ეომება, რომელიც სრულიად განხვავებული რამ ყოფილა, სამხედრო ისტორიისა და მემატიანეთაგან შეუმჩნეველი, არამედ გარშემორტყმულ ასი ათას ავაზაკებისაგან შემდგარ ბრბოებს და ჩინელებს, რომლებსაც ჩვენ ვძულვართ; ყველაფერი იქ ჩვენი წინააღმდეგია, როგორც უცხო ხალხისა უცხო ქვეყანაში; მცირე გაუფთხილებელი ნაბიჯი, ციცქნა გურკვევლობა ბრძანება-განკარგულებაში დიდს ალიაქოთს გიმოწვევს.

და როდესაც ყოველ ამას მოვიაზრებთ, როდესაც წარმოვიდგენთ იმ დრამას, რომელიც რუსეთს წილად ჰხვდა, მაშინ მივხვდებით, რომ ამ ჟამად არც ერთს ნამდვილს რუსს არ შეუძლიან და ვერც გაჰბედავს გენერალი კუროპატკინი გაჰკიცხოს». (გრაჟდანინი).

—

რასაკვირველია, გაჭირებულ გარემოებაში იქნება გენერალი კუროპატკინი, როდესაც ჯერ იმდენი ჯარი არა ჰყავს, რომ მტერს შეებრძოლოს. იაპონელები თან-და-თან ამრავლებენ და აძლიერებენ თავის ჯარს ხმელეთზე და ამ ჟამად აირავდენი მეომარი ჰყავთ, გაზეთ «რუს. ვედ»-ის სამხედრო მიმომხილველის გამოანგარიშებით:

**პირველ** ლაშქარში (სარდლად გენერალი კუროკი) უნდა იყოს ერთი გვარდიისა, მეორე, მეხუთე, მეცხრე და მეთორმეტე დივიზიები 128,000 ჯარის კაცითა და 294 ზარბაზნით;

**მეორე** (გენ. ოკუ)—მეოთხე, მეშვიდე და მერვე დივიზიები 81,000 ჯარის კაცითა და 306 ზარბაზნით;

**მესამე** ლაშქარი (გენ. ნოძუ)—მეათე, მეთერთმეტე და მეცამეტე დივიზიები 76,000 ჯარის კაცითა და 182 ზარბაზნით.

**მეოთხე** ლაშქარში (მარშ.ოიამა)—პირველი, მესამე და მეექვსე დივიზიები 87,000 ჯარის კაცითა და 458 ზარბაზნით.

სულ უნდა იყოს თორმეტი დივიზია 372,000 ჯარის კაცითა და 1,240 ზარბაზნით.

საფიქრებელია, რომ ზოგი ერთი ნაწილი ამ დივიზიებისა და სათადარიგო ჯარები ჯერ არ არის გადმოყვანილი კუნძულებიდგან ხმელეთზე, მაგრამ ეს საქმის ვითარებას ბევრით არაფრით შესცვლის. ეჭვს გარეშეა მხოლოდ ის გარემოება, რომ თუ აქამომდე ყველგან—იალუსთან, გაიჯოს, ტანჩისა და სიმუჩენში—იაპონელები იმარჯვებენ, ეს იმათის სარდლების სტრატეგიულ ნიჭისა და მოხერხების ნაყოფი კი არ არის, არამედ სულ მცირე მიზეზის ბრალია: იაპონელებს მანჯურიაში ერთი-ორად მეტი ჯარი ჰყავთ, ვიდრე გენერალ კუროპატკინს. ამასთანავე ჩვენი ჯარი გაბნეულია თითქმის იმ გვარადვე და იმ მანძილზედ არის დაბნეული, როგორც იაპონელებისა, და ამის გამო ყველგან იაპონელების ჯარი სჭარბობს. ეს გარემოება ძალიან კარგად იციან იაპონელების სარდლებმა და სარგებლობენ კიდეც. კუროკის, ნოძუსა და ოკუს ისე გადაჰყავთ და გადმოჰყავთ თავისი ჯარი, როგორც ჭადრაკის თამაშობაში პაიკს გადასმ-გადმოსმენ.

—

ჩინელების ცნობებით, რომლებიც გაზვიადებული უნდა იყოს, სამხრეთიდგან საიმაძში მისულა 30,000 იაპონელი მეომარი 30 საბარო და 200 სამთო ზარბაზნით და დაბანაკებულა საიმძს, ბანჩანსა და სიაოსირს შუა. 9 ივლისს, დილის 7 საათზე, იაპონელთა 1,000 მეომმარი მიდიოდა და რუსის რაზმი დახვედრია, რომელშიაც ყოფილა 4 ასეული და ერთი როტა, 2 ზარბაზნით. ჯარები ერთმანერთს შეებნენ და რუსის ზარბაზნებმა იაპონელები შეაჩერეს. მაგრამ მალე იაპონელების სავაჰრაუდო რაზმები გამოჩნდა. რუსებმა იფიქრეს, გზას გადაგვიჭრიანო და უკან დაბრუნდნენ. მტერი არ დასდევნებია. დაჭრილია პოდპოლკოვნიკი ვოლჟინი, 4 ყაზახი და 10 ცხენი. მტერს მეტი ზინი უნდა მისცემოდა. იაპონელების ჯარები სულ წინ მიდიან და, თუ ავდრიანობამ არ შეაჩერა, მალე დიდს ბრძოლას უნდა მოველოდეთ. წელს, როგორც ეტყობა, ისე ხანგრძლივი არ არის ავდარი, როგორც წინა წლებში. ორ-სამ დღეს იწვიმებს და შეჩერდება. (რუს.).

—

ლიაოიანიდგან «სავაჭრო სააგენტოს» დეპეშა გაუგზავნია პარიჟში, 9 ივლისს აქ შეიყარნენ გენერალი კუროპატკინი და მეფის მოადგილე შორეულ-აღმოსავლეთშიო. უკანასკნელ ოთხ დღეს რავდენიმე ბრძოლა იყო ლიაოიანზე მომავალ იაპონელთა და რუსის ჯარებისაო. რუსები სიხეანიდგან უკუ-იქცნენ გუძაძესკენ. იაპონელები რომ ამ ადგილს აწვებიან, ეტყობა, განზრახვა აქვთ ლიაოიანს ჩრდილოეთიდგან მოუარონ. თუ რომ იაპონელები არ შეჩერდნენ, მალე დიდ ამბავი მოხდებაო. (რ. ვ.).

—

სამხედრო აგენტებსა და კორესპონდენტებს «მანჯურმარუ» გემით (წინად «მანჯურია») უმოგზაურნიათ და იაპონელების ესკადრა დაუთვალიერებიათ. ადმირალი ტოგო, საადმირალო გემზე »რიკაზაზე» ყოფილა და ევროპიელი სტუმრები იქ მიუპატიჟნია. სტუმართა რიცხვში 7 წარმომადგენელი ყოფილა ევროპიელ სახელმწიფოებისა და 30 კორესპონდენტი. სადარბაზო ოთახში ადმირალ ტოგოს არავითარი მოწყობილობა არა აქვს თურმე. ერთად-ერთი საყურადღებო საგანი—ყუმბარის ნატეხია, რომელიც გემს «მიკაზოს» მოხვედრია ამ ხუთის თვის განმავლობაში. იქვე არის ფოტოგრაფიული სურათი ამ ნატეხით დაჭრილ ლეიტენანტ მაცუმუხასი. ჭაღარით მოსილ ადმირალს ბევრი ლაპარაკი ირ უყვარს და საუბარის დრო ცოტა ეშმაკურად იღიმება. უბრალო ტანთსაცმელი მოსწონს, ხოლო სტუმრების პატივსაცემლად ამღომავალ მზის ორდენი გაეკეთებინა. სტუმრებს განუცხადა, დიდ პატივსცემად მიმიღია მწერლობის წარმომადგენელთა მობრძანებაო. კორესპონდენტები მცირე სიტყვით მიესალამნენ. ადმირალმა ნადიმი გაუმართა სტუმრებს და მათი სადღეგრძელო წარმოსთქვა. სტუმრებმა გამარჯვება უსურვეს და სამჯერ «ბანძაი» დასძახეს. (ნოვ.).

—

ტოკიოდან გაზეთ «ტაიმსს» დეპეშით ატყობინებენ, ვლადივოსტოკის ესკადრა იაპონიის აღმოსავლეთ ნაპირებისკენ დაცურავს და, როგორც ეტყობა, სცდილობს იაპონიისა და ამერიკის ვაჭრობას ხელი შეუშალოსო. კრეისერები ძალიან

წილა დაცურავენ და ქვა-ნახშირს იზოგავენ. აღმოსავლეთის ზღვაზე გემები ძალიან დაშინებული არიან. რავდენიმე გემი 11 ივლისს უნდა გასულიყო ნავთსადგურიდგან, მაგრამ ველარ გაბედეს. კვირას დილით ვლადივოსტოკის კრეისერებმა გემი «შიოგო-მარუ დაღუპეს. (ბ. ვ.).

## ტფილისი

*** დღეს, 18 ივლისს, მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ეგზარხოსი ალექსი სწირავს სიონის საკათედრო ტაძარში. წირვის გათავების შემდეგ ეგზარხოსი პანაშვიდს გადაიხდის შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. კ. ფონპლევეს სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ.

*** წელს, როგორც მთავრობის-მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდგანა სჩანს, მთელს რუსეთის იმპერიაში სამხედრო ბეგარის მოსახდელად გაიწვევენ, უმაღლესის ბრძანების თანახმად, 447,000 კაცს, შარშან კი გაიწვიეს 321,000 კაცი; ამას წინად ზოგიერთს გაზეთებში დაბეჭდილი იყო, ვითომც წელს შარშანდელზედ ორჯერ მეტს კაცს გაიწვევენ სამხედრო ბეგარის მოსახდელად ომის გამოო. ეს ცნობა მართალი არ არის. წელს თუმც შარშანდელზედ მეტს კაცს გაიწვევენ, მაგრამ იმდენს (ე. ი. შარშანდელზედ ორჯერ მეტს) კი არა, არამედ სულ 126,000 კაცით მეტს.

*** კავკასიაში ექსკურსიად მოდის გერმანელთა სამოგზაურო ბიურო «Orient-Reise Club.» ექსკურსანტები ჯერ ინახულებენ ყირიმს, ხოლო შემდეგ კი კავკასიას, სახელდობრ ტფილისს, ბათუმს და ეჩმიაძინს.

*** იმერეთის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის დედათა სასწავლებელში მოსწავლეთა გამოცდა და მისაღები ეგზამენები ახლად შემსვლელთათვის დანიშნულია 28 აგვისტოსათვის. ამ სასწავლებელში ამ ჟამად შემდეგი თავისუფალი ადგილებია: მე-6 კლასში—27, მე-5—5-დან 15-მდე, მე-4—3—20-მდე; მე-3-სა, 2-სა და 1-ლ სასწავლო კლასებსა და მე-2 მოსამზადებელ კლასებში 32-დგან 41 თავისუფალი ადგილია.

*** როგორც გაზ. «ნოვ. ობოზრ.»-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, გამოცხადებულია მთავრობის შემდეგი განკარგულება: 1) ტფილისის საკომერციო სასწავლებლის წესდების შეცვლისა, ბათუმისა და სოხუმის ოლქებში საფაბრიკო ზედამხედველობისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების შეცვლის შესახებ.

*** სპარსეთის უმთავრესმა საკონსულომ ტფილისში ცნობა მიიღო თეირანიდგან, რომ იქ ხოლერა დღითი-დღე კლებულობს. უკანასკნელ დღეებში თეირანში ხოლერისაგან 10—11 კაცზედ მეტი არ იხოცება დღეში. ხოლერა ეხლა უმთავრესად ამ ქალაქის ორ ნაწილში მძვინვარებს.

*** ქალაქის მოურავის მოადგილემ წარუდგინა ტფ. გუბერნატორს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც დამტკიცებულ იქმნა ქალაქ ტფილისის მიმდინარე წლის დამტებითი ხარჯთ-აღრიცხვა № 1, შედგენილი ქალაქის გამგეობის მიერ.

*** დღეს, 18 ივლისს, ავლაბრის (არაქსიანის) თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა ქართულის თეატრის არტისტებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით. წარმოდგენილი იქმნება ცნობილი მელოდრამა «ორი ობოლი», ხუთმოქედ. თარგმ. ავქ. ცაგარლისა.

*** გაზ. «ნოვ. ობოზრ.» დაბეჭდილია სამტრედიის ორკლასიან სასწავლებლის ზედამხედველის ბ-ნის ლეონტი ეგნ. ჯაშის შემდეგი წერილი: «ამ ერთის თვის წინად სამტრედიის ორკლასიან სასწავლებელს ვიღაც უცნობნი ყოველ დღე განუწყვეტლივ უშენდნენ ქვებსა და ამტვრევდნენ სასწავლებლის შუშებს; ხშირად ქვები მოჰხვედრია სასწავლებლის მოსამსახურეთ, რის გამოც დაბინდებისას შეუძლებელი იყო გარედ გამოსვლა. ამ «ქვის ყუმბარებს» ესროდნენ სასწავლებელს 2—3 კვირის განმავლობაში ყოველ დღე, განუწყვეტლივ. რადგანაც სასწავლებლის მსახურთ ღონე არ შესწევდათ, რომ ებრძოლნათ განათლების უჩილავ მტერთან, ამიტომ მე, როგორც სკოლის წარმომადგენელმა, მივმართე და დახმარება ვსთხოვე ადგილობრივს პოლიციას, მაგრამ ამის შემდეგ არამც თუ უკლეს ქვის სროლას, არამედ უფრო მოუხშირეს კიდეც. 25 მაისს ხელახლა მივმართე თხოვნით პოლიციას და მხოლოდ ამის შემდეგ შესწყდა ქვების სროლა და სასწავლებლის კარ-ფანჯრების მტვრევა! ასეთს მდგომარეობაშია სასწავლებლის საქმე ჩვენს მიყრუებულს დაბა-სამტრედიაშიო», — მწარედ დასძენს ბ-ნი ზედამხედველი. სამტრედიელებს, ალბად, ტფილისელებისათვის მიუბაძავთ; აქაც ხშირია ამნაირი ამბები: ეტა კარგს რასმეში მაინც წაჰბაძონ.

*** მოსკოვის სასულიერო აკადემიის კანდიდატი ბ-ნი ჩიხლაძე დანიშნულ იქმნა ქართულის ენის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პარალელურ კლასებში.

*** ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე კოტიპინი დანიშნულ იქმნა ამავე სასწავლებლის ზედამხედველად.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მოძრაობის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ინჟ. გ. ე. ბერნდტი გზათა მინისტრმა დაამტკიცა ამ თანამდებობაზედ.

*** თანახმად უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებისა ქალ. სოხუმში არსდება რეალური სასწავლებელი მოსამზადებელისა და 6 კლასით. გარდა ამისა, იქნება განყოფილება მე-5, მე-6 და მე 7 დამატებით კლასებისა. მომავალ 1904/5 სამოსწავლო წლიდგან დაარსდება მოსამზადებელი, პირველი და მეორე კლასები. თხოვნები უნდა მიართვან სასწავლებლის დირექტორს. თხოვნებთან ერთად უნდა იყოს მოწმობა ხნოვანებისა და წოდებისა. თხოვნები მიიღება აგრეთვე მე-3 კლასში შესვლის მსურველთაგანაც, მაგრამ ეს კლასი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაარსდება, თუ მთხოვნელნი 25 კაცზედ ნაკლები არ იქნებიან. მოსწავლეთა ხნოვანება ასეთი უნდა იყოს: მოსამზადებელ კლასში შესვლის მთხოვნელი უნდა იყოს 10 წლისაზედ არა უხნესი, 1-ლ კლასში—10-დგან 12 წლამდე, მე-2 კლასში—11-დგან 13-მდე და მე-3 კლასში—12-დგან 14 წლამდე.

*** ბათუმის დედათა გიმნაზიაში მომავალ სამოსწავლო წლიდგან არსდება მოსამზადებელი კლასის. ვისაც სურს მიაბაროს ბავშვი ამ კლასში, 1-ლ აგვისტომდე წერილით უნდა მიჰმართოს ამ გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს თავმჯდომარეს, რადგანაც მოსამზადებელი კლასი მხოლოდ მაშინ დააარსდება, თუ შესვლის მსურველი საკმაოდ იქნება. თხოვნებს მიიღებენ დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე ბათუმის დედათა-გიმნაზიის კანცელარიაში.

*** 16 ივლისს სტამბოლიდგან ტფილისს ჩამოვიდა უმაღლესის კარის კამერგერი, დ. ს. ს. ა. ნ. სვეჩინი, სტამბოლში რუსეთის საელჩოს მრჩეველი. ბ-ნს ა. ს. სვეჩინს ბათუმში შეეგება მისი ძმა ტფ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ი. ნ. სვეჩინი.

*** ამას წინად ვწერდით, რომ გორის მაზრის სოფ. ხაშურის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს ტფ. გუბერნატორის წინაშე იმის გამო, რომ ნება მისცეს პროვიზორს ს. წერეთელს, დაარსოს აფთიაქი სოფელ ხაშურში. ხაშურის მცხოვრებნი უაფთიაქობის გამო გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან, ასე რომ მთელი დაბა ხაშურის (მიხაილოვი) და მისი ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი სურამში მიდიან 6—7 ვერსზედ წამლების სასყიდლად. ეჭვი არაა, რომ ბ-ნი ტფ. გუბერნატორი შეიწყნარებს ხსენებულ სოფლის მცხოვრებთა შუამდგომლობას.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოებამ ელექტრონის ტრამვაისათვის ქუჩებში უნდა გაჰმართოს ბოძები მავთულების გასაბმელად. გუშინ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებამ სთხოვა ხსენებულს საზოგადოების დირექტორს, შეგვატყობინეთ, არ შეიძლება უსახელო საზოგადოებამ ისე მოაწყოს ბოძები, რომ ქალაქმაც ისარგებლოს და მავთულები გააბას ქუჩების ელექტრონით განათების დროსაო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილების ანგარიშით, ვერის არხის გადაკეთებას დასჭირდება 5,569 მან.

*** ტფილისის ქალაქის სასანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ სთხოვა ტფილისის მცხოვრებთ, მოგვაწოდეთ ცნობები ამმა თუ იმ უბნის ანტისანიტარულ მდგომარეობის შესახებაო.

*** ხარაგაულიდგან «ცნ. ფ. ს.» სწერენ: „ზვავი გასწმინდეს, მატარებელთა მიმოსვლა დაიწყო მე-145 და მე-148 ვერსზე.“

*** რედაქციამ მიიღო ი. გარსევანიშვილის გამოცემული ახალი ქართული წიგნი «ნატუსაღარი», მოთხრობა სიმონ მაისაშვილისა. ფასი ერთი შაური.

## სვანეთში ორის კვირით*).

### XXII

მზე კარგა გადახრილი იყო, რომ გამოვეთხოვეთ პატიოსანს მღვდელს, მამა გიიოზ ძიმისტარაშვილს და მალე შევუდექით ჯაგნარიანს მთასა, რომელიც სადადიშკელიანო სვანეთს და თავისუფალს სვანეთს ჰყოფს. ასე ოთხი ვერსი აღმართი რომ ავიარეთ, ავედით მაღალ ტყიანს ქედზედ, საიდგანაც თვალი დიდ მანძილსა სწვდებოდა: დასავლეთით ბეჩოს ჴალი გადიშალა და მის თავში უცებ აიმართა საშინელი კავკასიონის ბუმბერაზი, თოვლით მოცული კლდოვანი უშბა (უშბა), ეს მახლობელი სვანეთის გუშაგი. ბეჩოს ხეობა მეტად ვიწროა და სულ შეხუთულია. სახოვარი და სახნავი ადგილები მეტის-მეტად მცირეა: სიგანე ასი საჟენი ძლივს ექნება ამ ხეობასა დაბლა. ამ მჭირს ხეობაში უშბას დანახვა სწორეთ დიდი ნუგეშია მგზავრისათვის. რომ არ გინდოდეს, ძალათ მიიპყრობს შენს თვალს უშბა. ორი თავი აუშვერია უნაგირივით—ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, მეორე ჩრდილო-დასავლეთისკენ, შუაში კი ჩაზნექილია; ორთხივე მხრივ მიუდგომელია მისი მწვერვალი: თითქოს ცულით ჩამოუთლიათ გვერდებიო, ისეა ტლუთ ამართული. დედა მიწის ზურგზედ რაც მაღალი მთის მწვერვალებია, ყველგან აახწია კაცის ფეხმა და ყელმოღერებულმა კაცმა ოთხივკუთხივ გადიხედ-გადმოიხედა, მხოლოდ ვერავინ ეღირსა ჯერ უშბაზედ ასვლასა! კიდეც იმიტომ გადმოიყურება ასე უმანკო, ქალწულებრივის მშვენიერებითა! მზის სხივებს ისხლეტდა მისი ჯვალოთ დამბნელებელი სპეტაკი მწვერვალი და თითქოს ბიწიერის ადამიანის თვალს ირიდებდა — შორს ჩემგანაო! ნეტავი, შენ უშბავ, რო უწმინდურებით სავსე ადამიანს ჯერ არ დაულახავს შენი წმიდა მწვერვალი! შენ იმავე თავით სვანეთს გადმოჰყურებ, მოწამე ხარ სვანეთის ოდესმე დიდის საქრისტიანო კულტურისა! შენ წმიდა მფარველი ანგელოზივით თავს დაჰყურებ შენებრ უბიწო არე-მარესა და აფრთხილებ, მოერიდოს კაცთა მიერსა განმხრწნელობასა და უსაზღვრო ბოროტებასა. შენი მწვერვალი სავანეა იმ წმიდა არსებათა, ვინც კი ღირსი შექმნილა «აღსლვად მთასა წმიდასა»! კიდევ ნეტავი შენ, უნაგირავ. დავნატრი შენს ციურს ბედსა. მე შენს

*) იხ. ივერ. № 163

## ფელეტონი

### შურდული.

(საკვირაო გაზეთი).

წელიწადი მეორე.

№ 23.

«სსუუ, არ გააღვიძოთ!».

### I

სსუუ!... არ გააღვიძოთ! არსებობისათვის ბძოლით დაქანცულს ქ. ქორეთი. სძინავს სახელოვან გმირთა სავანეს! სძინავს მოწამეს ქართლის დიდების და მშვენიერების; სძინავს მამულის საკიდებლად, თავისუფლების, ენის და რჯულის დასაცველად ამომწყდარ გმირთა სისხლით გაჟღენთილს, მრავალ გზის გაპოხიერებულს!

სსუუ!... არ გააღვიძოთ!...

რავდენი ცარცვა-გლეჯა, რავდენი რბევა და ტყვევნა, დაზდილ შვილების ჟლეტა და უსუსურ ჩჩვილ ბავშვების კალოებზე პურივით ლეწვა გადაჰხედია თავსა! რავდენი მწუხარების მოწმეა უბედური!

იძინე ქართლის გულო, ქართლის დედავ, დავითის და თამარის დიდების შარავანდედით მოსილო ქალაქო! საკმარი იბრძოლე, საკმარი სისხლი დაიღვარა შენს მშობლიურს გულზედ, სისხლი შენის ძვირფასის შვილებისა! იძინე!... სსუუ!... არვინ შეუკრთოთ ძილი!

ნანა, ტკბილი ნანა, ვუმღეროთ ჩვენს მარჩენალს.

ნანა, ჭორეთის ქალაქო,
მაშვრალი ხარ, დაიძინე
საკმარია, რაც იბრძოლე,
სისხლი ჰღვარე და იგმინე!

—

დაიძინე, ნუ შეკრთობ
ტკბილს ძილსა, ნუ შეშფოთდები:
ჩვენ მოგივლით, გიპატრონებთ,
თუ რომ ვიქნებით ცოცხლები!

—

ნანინა, ნანი, ნანათ!
უცნობო გამოცანათ!
ბევრია სხვაგანაც ქალაქი,
არც ერთი შენისთანათ!

სძინავს... როგორ დამშვიდებით, მოსვენებით ჰქშინავს! რა საამურად ხვრინავს! როგორი სიმშვიდე და კმაყოფილება აღბეჭდია ტანჯვით და გარდახილ ომებით დაღარულს სახეზედ! შეუსვენებელი ჯაფისგან დანაოჭებული შუბლი გაჰშლია! სასიამოვნო და ამასთან გულის ამატირებელი სურათია ნამდვილად, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინეთ, რაღაც ასიოდე წლის იქით, ერთს წამს მოსვენება არა ჰონდა: ლეკები, ოსები, ოსმალონი, სპარსელები, ბერძნები თათრები, მონღოლნი და ათასი მილეთის ხალხი, ასე გასინჯეთ, საკუთარი რძით და სისხლით დაზრდილნი შვილნიც კი მის გულზედ ნავარდობდნენ, გულს უგმირავდნენ. მაგრამ ახლა, მადლობა მრავალმოწყალე ალლახს, ჰირსაც თურმე ბოლო ჰქონია! აი ეხლა ღრმა ძილს მისცემია, და...

სსუუ!... ძილი არავინ დაუფრთხოთ.

იძინე, დიდებულთ ვახტანგის, დავითის, და თამარის მიერ გაშენებულო დიდებულო ქალაქო! იძინე, ქართლის ქვა-კუთხედო! გეკმარა გარეშე მტრებისგან და შინაური ბუზანკლებისაგან მრავალ გზის დარბევა, დანგრევა; გადაწვა!... მშვიდათ, შეუშფოთებლად გამოიძინე. ძალ-ღონე მოიკრიბე, რომ დასვენებულმა, ძილისაგან გამაგრებულმა და გამხნევებულმა შესძლო უთანასწორო ბრძოლა არსებობისათვის, ყოფნა არ-ყოფნისათვის, ყარამან-ყათრანის ნაბიჯით მიმხტუნავ ცხოვრებასთან. შეებრძოლე... ძილითა...

მშვენიერი, ჯანაოზ ექიმებისაგანაც კი მოსაწონი, საშუალებაა, უებარი წამალია, ვფიცავ შენის ბნელის, დამტვრეულის ტალახით დაფარულ ქუჩებს და მიდამოებს, ქართველთა სისხლით განბანილს და განწმენდილს ნიადაგს.

ნუ შფოთდები! ნუ, ნუ შიშობ! ძილს არა ვინ შეგიკრთობს და არ შეგიკრთობს იმიტომ, ჩემო გამზრდელო, ჩემის სიჭაბუკის ტკბილო აკვანო, ჩემო სიბერის ტალვარო და ჩემის გაცივებულის გვამის ტკბილო სავანევ, იმისთვის, რომ ბ-ბ. ექიმბაშებისთვის ფრიად ხელსაყრელია! იმისთვის, ჩემო სიცოცხლევ, რომ ისინი უფრო ადვილად შეიძლებენ მოგცხონ მალამო შვებისა, დასვენებისა, შეურყეველი ძილისა! უფრო ადვილად გაგიმთელებენ მაგ დაავადებულს იარებს, დასისხლებულ წყლულებს, უფრო ადვილად აგათლიან იმ გაავზნევებულ იარიანს ასოს, რომელიც... მათ თავისათვის მავნებლად მიაჩნიათ... ჰმ... მეცნიერებისთვის იძინე, რათა ძილში მოგენიჭოს საუკუნო ნეტარება.

რომელს თავზე ხელ აღებულს წამოსცდა: «მუდმივ ძილი სიკვდილიაო?»

სტყუით, თქვე გულ-გრძნობა გაყინულებო, თქვე... თქვე თქვენი აღმზრდელის ამაგის დაუფასებელნო!... ძილი?! ჯერ არ შეგიგნიათ, თუ რაოდენი სარგებლობა ბუდობს ძილში?

როგორ არა გსმენიათ, რომ ძილში სნეულ ადამიანს სულიერი და ხორციელი ტკივილი უყუჩდება, სისხლი უფრო თავი უფლად აწვება დაწყლულებულს ასოს, უფრო ჩქარა მოძრაობს და დაავადებულს, დაიარავებულს ასოს აძლევს მასალას ახალი, ჩჩვილი ხორცის შესამუშავებლად, ჩვენი ჰორეთი?! განა იმავე მდგომარეობაში არ არის?

### II

სსუუ!..., ნუ იხმაურებთ!... წყნარად იყავით!... ჰმ, დახე რომ კიდევ არ იშლიან ყაყანს? გაწყვიტეთ ხმა! დახე, აკი გამიღვიძეს ჩემი შემნახველი?!

სსუუ!... თვალებს იფშვნეტს!... დაწყნარდით, ეგებ ისევ ძილში წავიდეს... ეეჰ!... გაიღვიძა!

— ვინ ხართ აქა?

— მე გახლავარ, ბატონო, შენი მტლე, შენი ფეხის მტვერი მოურავი.

— ოჰ, შენა ხარ, ჩემო ერთგულო მოურავო! რა ამბავია?

— მშვიდობა, ჩემო სიცოცხლევ!

— ძილში რაღაც ხმაურობა შემომესმა და, მგონი, იმან გამაღვიძა. ხომ არავინ ხმაურობდა?

— რა ვიცი, ჩემო ბატონო, უმადური და უნამუსო ხალხი დაილევა? ჯერ იყო და ამ ვიგინდარებმა ჩურჩული დაიწყეს, მერე ჰილყვავებივით აჩხავლდნენ: «სულ ძილი, ძილი ვით შეიძლება, როს გეღირსება შენ გაღვიძებაო!» კიდევ სხვა რაღაებსაც როტავდნენ, ბევრი ვაჰუმე, ბევრი გავუწყერი, მაგრამ ვერ შევასმინე.

— «შენო», ვისზე ამბობდნენ?

— შენზე, ჩემო ბრწყინვალე ბატონო!

— როგორ თუ ჩემზე? განა როგორ გაბედეს? უუ, ის არამზადები! მერე რატომ ვირის აბანოში არ უკარ თავი?

— შენგან ბრძანება არა მქონდა, ბატონო?

— უუ, ის შეჩვენებულები! მაკადონ!... სხვა ხომ არა უყბედნიათ რა?

— როგორ არა: მუდმივი ძილი სიკვდილიაო.

— მიუქარავთთ!...

— აკი მეც იგივე ვუთხარი.

— უუხხაა! რა ტკბილად მეძინა! რა მოპჯადოებელს სიზმრებში ვიყავი!... ახხაა! ვითომ ძველებურად, მამაპაპურად ვიყავ ყოველისფრით უზრუნველ ყოფილი; არც უფროსი მყავდა, არც ბატონი და არც ძალად მაცხონე პატრონი: ყოველივე უხვად მომდიოდა, უფასოთ. უთვალავი მოსამსახურენი თავზე მადგნენ და თვალში შემომცქეროდნენ: რას გვიბრძანებ, ბატონოო, რას ინებებო!... მე კი განცხრომით ვჰამდი, ვსვამდი კახურს, ქართულულს, ოდიშურს, გამოვიგვერდებოდი, მერე გადავგორდებოდი მამაპაპურს ტახტზე. ვკოტრიალებდი და ვხვრინავდი არხეინად, ბედნიერად! გამოვიღვიძებდი და კვლავ ისევ ჭამა, სმა და ძილი! იფჰ!... შენც გვერდეში მყავდი, ჩემო ერთგულო მოურავო!

— მადლობას მოგახსენებ, ჩემო ბატონო, რომ ძილშიაც არ ივიწყებ შენს ერთგულს ყმა-მოურავს.

— ეჰ, ეს ხომ სიზმარი იყო! «ეხ, დრონი, დრონი, ნაქებნი მარად»... წავიდა და აღარც მოვა ის ნეტარი დრო...

— ღმერთი მოწყალეა, ბატონო?

— უახხხააა!...

დაამთქნარა ჰორეთს, ლავიწებმა გაულაწუნეს, მეგონა მე უბედურს, ყბები ამოსცვინდა—მეთქი, მაგრამ, მადლობა ცათა და ქვეყნის დამყარებელს, უვნებლად გადარჩა.

— მეძინება, მოურავო!

— დაიძინე, ბატონო, შენი ჭირიმე!

— მხოლოდ ყიამყრალა ბუზანკლები გარედ გარეკე!.. აღარ გამაღვიძონ, თორემ..

კვლავ დაამთქნარა, კვლავ ლავიწებმა გაულაწუნეს, კვლავ ძილისგან დაგუდლებული თვალები ქუთუთოებში ჩაეკარგა და კვლავ ტკბილს ძილში წავიდა, მომხიბლველი ხვრინვა ამოუშვა...

«უხაა!... მეც მეძინება! დავიღალე ჩემის ბატონის დარაჯობით. თქვენც დაიძინეთ, ძილი ყველას სჯობიან. ვისაც არ გეძინებათ, გარედ გაეხირეთ, ძილი არ დაგვიფრთხოთ, თორემ.. ციხეში ამოგალპობთ!... უაახხხაა!... ძილი ნებისა»!

დაამთქნარა კიდევ მოურავს, მიეყრდნო სავარძლის ზურგს, თვალები დახუჭა, ბუზების გასაფრთხობლად დამზადებული ხის ფოთლების ფარაო მუხლებზე დაუვარდა, ცალი ყბა ჩამოეშვა და ქვედა ტუჩი დაეკიდა.

ხხხჰხხ!... გაისმა მაგიდასთან მსხდომარეთა—მოურავის თანაშემწის, მხლებელთა და მოსამსახურეთა გაბმული ხვრინვა, და მრთელი დარბაზი ძილში წავიდა.

დიაღ!... სძინავს ჰორეთს, სძინავთ მეთაურთ, სძინავთ მკვიდრთ, სძინავთ მისს უსიცოცხლო, ბნელს, მიგრეხილ-მოგრეხილ ქუჩებს.

სძინავს აგრეთვე ჰორეთის შუა ამართულს, ამაყს, ბევრის დიდების, ბედნიერების და მწუხარების, ტყვევნის და შერცხვენის მომსწრე ციხესაც.. მხოლოდ ხან და-ხან გააბჟუტებს ცალს თვალს და იჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვერვალზედ მეგულებიან კრებულად სვანეთის თავდადებულნი ძველი დევგმირნი. ბედნიერნი არიან შენის უზადო, წმიდა მწვერვალის მუდამ მაყურებელნიც!....

უნაგირას ცქერით ასე დამტკბარი დავეშვით დაბლა და მზე ჩასვლას აპირობდა, რომ შემოვუსხედით ანკარა მჟავე წყლის კოდსა და სიცოცხლე გაქვსთ, ჩვენ გული ვიოხეთ იმის სმით. ვეებერთელა კათხას ზედი-ზედ ვსცლიდით და ალავერდს ერთმანეთთან მივდიოდით!.. ჩვენ წინ ერთი ალიაქოთით მოქუხდა მდ. ბეჩოს ჰალა.

ბეჩოს საზოგადოება 9 პატარა სოფლიდგან (უბნიდგან) შესდგება: მაზერი, თებიში, ბოგვდალარი, თეთნაში, ნახშთიქა, ნაშთქა, უშხვანასვი, დოლი და ქართვანი. ამ სოფლებში მცხოვრებ სვანთა გვარები წმინდა ქართულია: დვიდვიშერი, კვიციანი, ვეზდეშერი, სიდიანი, ბეჩისელანი, ჯანდელანი, ფანკიანი, ბაზუშერარი, ფანკანაანი, ქაუშერარი, ბოდოშერი, ჭულელანი, მანწელანი, ოხთანიანი, გობულდიანი, ჭკადუა, დადიანი, ხორგუანი, უბლიანი, კვანჭიანი, ქუბიშერი და საკნიდი.

ბეჩოს საზოგადოებაში სულ სამი დაძველებული საყდარია, ფრიად ღარიბნი ხატითა და ჯვრით.

განსვენებულ დ. ბაქრაძესაც კი ვერა უნახავსრა 1860 წ. იგი მიზეზად ასახელებს 1830 წ. ოთარ დადიშქელიანის გათათრებას. ამის გამო სვანებმა საყდრებიდგან საიდუმლოდ გამოიტანეს ხატი და ჯვარი და ერთს მიუდგომელს ციხეში შეინახესო. [1])

ის იყო მზე ჩასვლას აპირებდა, რომ მოვასხედით ცხენებს და ეწერისაკენ გავსწიეთ. მაგრამ ჩამავალი მზის სხივები ისევ ენთებოდნენ უნაგირას შეუპოვარს თოვლიან მწვერვალზედ და ასხლეტილნი ბრწყინვალე ისარივით იკარგებოდნენ ლაჟვარდოვან ჰაერის სივრცეში.

შევუდეგით ხიფათიანს მთის ბილიკებსა. ერთგან ჩვენს ამხანაგებს გზა აერიათ და სხვა ბილიკს გაჰყოლოდნენ. ამ დროს ხშირმა ბინდმაც მოატანა. მე და ჩვენი სტეპან ანტონიჩი ერთად მივდიოდით სწორე გზით. როცა ამხანაგები მოგვეწივნენ, უნდა გეყურებინათ, სტეპან ანტონიჩი, რა ნაირად გაცოცხლდა და რა კილოთი დასცინოდა; აი თქვე სულით მრუდეებო! მრუდე გზით გავლება! რატომ ჩვენ არ აგვერია გზაო! და თავის ცხენის ფაფარს ხელით ვარცხნა დაუწყო სიამოვნებისაგან: ჩემი ცხენი თქვენსას ჰსჯობიაო. ასე აყოლებდა გულსა ჩვენი სტეფან ანტონიჩი.

ამ ყოფაში ავდიოდით და ჩავდიოდით მაღლიდგან დაბლა და დაბლობიდგან მაღლა. ბილიკი გაბმით მშვენიერ თხილნარზედ მიდიოდა.

ასე ვიარეთ საღამოს ათ საათამდე და ეწერის საზოგადოებასაც მივახწიეთ. ჩრდილოეთის მხრივ შორიდგან გამოჩნდა დიდი სინათლე და ჩვენც იქით მივეშურებოდით.

ვრცელი ეზო თ. ოთარ დადიშქელიანის ერთიანად განათებული იყო. დალალულ-დაქანცულებს სიცოცხლე მოგვიმატა ძველმა ქართველურმა გულგაშლილობამ და შუა ღამე გადასული იყო, რომ მაღალ-განიერს აივანში ყველანი ვსტკბებოდით ჩვენის გულუხვის მასპინძლის საგულისხმო საუბრითა...

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება).

[1]) იხ. Сванетія Бакрадзе, 87 გვ.

# უცხოეთი

დეპეშით იუწყებოდნენ, ვითომც ოსმალეთმა განიზრახა რუსეთს ერთბაშათ გადუხადოს კონტრიბუცია, რომელიც 1877-1878 წ. ომის შემდეგ დააკისრეს და ვითომც ინგლისი 3% სესხს აძლევს ოსმალეთსა, რომ რუსეთი მოიშოროსო.

ოსმალეთი მოვალე იყო გადაეხადა სულ 802,000,000 ფრანკი და ყოველს წელს 7.700,000 ფრანკი ეძლია. მაგრამ 1904 წლამდე მხოლოდ 200.000,000 ფრანკი გადაიხადა დ დარჩა 600,000,000 ფრანკი. რუსეთსაც სწორედ ეხლა სჭირდება ფული და, ამოდენა ვალი რომ გადაუხადოს ოსმალეთმა, სწორედ რომ კარგი ხელის გამართვა იქმნება.

ხოლო რომელ ქუქუნა თვალების ეშხით აძლევს ინგლისი ამოდონა სესხს და ისიც მცირე სარგებლითო? გაოცებით ამბობს ნოვ. ვრ.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენ პატივცემულ გაზეთის მე 144 ნომერში მოთავსებულია წერილი თელავიდგან ბ. ა—ლისა. რომელიც სხვა ამბავთა შორის სწერს «შარშან ერთმა აქაურმა სცენის მოყვარულმა ჩვენი მსახიობთა დახმარებით თბილისში წარმოდგენა გამართა, თელავის სცენის სასყიდლად და 8 თუ 10 თუმანი ფული აიღო, თელავის საზოგადოებამ და სცენის მოყვარულთ. რომლის სახელითაც იმან ისარგებლა ჯერაც არ იციან სად გაფრინდა ეს ფული, თუ სცენა ნასყიდია ეტყობა თავის საკუთრებათ გაუხდია და სხვ...

სიმართლის აღსადგენათ ნებას ვიახოვ თქვენგან, რათა ნება მომცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ვაუწყო ბ. ა—ლის თბილისში ჩემის მეტს თელავის სცენის მოყვარულს არავის გაუმართავს წარმოდგენა, არა მარტო ჩვენის არტისტების მონაწილეობით, როგორც ბ. ა—ლი ბრძანებს არამედ ზოგიერთი ქართულსომხის მსახიობთა მონაწილეობით გავმართე და არც მე და არც სხვას არ უთხოვნია მათთვის თელავის საზოგადოების და სცენის მოყვარულთა სახელით (ან როგორ გავბედამდი თხოვნას როცა ჩემთვის არავის დაუვალებია) მაშ როგორ ვისარგებლებდი მაიის სახელით? მაშ საიდგან შეთხუზა ბ. ა—ლიმ ეს. იქნება რომელიმე მსახიობმა უთხრა? ანუ აფიშაში ამოიკითხა? დარწმუნებული ვარ არც ერთი და არც მეორე არ იქნებოდა. ანუ იქნება ჩემ მიერ დაბეჭდილ წარმოდგენის ანგარიშში ამოიკითხა რომელიც გაზ. ცნობის ფურცელსა და ივერიაში იყო დაბეჭდილი დარწმუნებული ვარ, რომ წაეკითხნა არც ესე «აბდა უბდა» ხტუნვა აღარ დასჭირდებოდა. როგორც აქ, ყველამ ბ. ა—ლიც უეჭველად გაიგებდა რომ მე ნაწილი მოძრავი სცენისა უკვე მოვიტანე და სცენა სამოც თუმნამდინ ფული ჯდება. ესეც კარგა მოეხსენება ბ. ა—ლის რომ რვა თუმნით ერთი რიგიანი ფარდაც ვერ მოვა, მაგრამ როგორც ნაჩვევს სხვისა გულში ხელების ფათურისა, აქაც უნდა გაიგოს, საიდგან ვიშოვე ანუ ვიშოვი ამოდენა ფულს ეს იმისთვის საიდუმლოთ დარჩება ვიდრე სრულიად გამოვისყიდი სცენას. «სცენის მოყვარულთ არ იციანო» არ ვიცი რომელთა სცენის მოყვარულებზედ ბრძანებს? იქნება ბ. ა—ლის თავის თავეც სცენის მოყვარე ჰგონია? თუმცა მე იმის თამაშობა არც ერთხელ არ მინახამს.

დასასრულს ბძრძანებს ბ. ა—ნი «იქნება საკუთრებად გაუხდიაო?»

სცენა და ისიც «მოძრავი» შეიძლება ერთი ერთი კაცის საკუთრება? რადგან ბ. ა—ლის არც მოძრავი სცენის მნიშვნელობა სცოდნია, სჯობს გავჩუმდე, ვიდრე ბ. ა—ლი შეიგნებდეს.

დასასრულ მოვახსენებ ბ. ა—ლის, რომ სხვისა გულში ხელების ფათური და იქ სხვისი აზრების ძებნა, არამც თუ სამართლიანობას, არამედ ზრდილობასაც მოკლებულია.

ე. აჯამაშვილი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

16 ივლისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უმაღლესობასთან 15 ივლისით: «12 ივლისს იაპონელთა ორი ბატალიონი თავს დაგვესხა ხუანგოს ხეობაში. ჩვენ მაგრა შევხვდით, მტერმა ორი ბატარეიდან დაგვიწყო სროლა სამხრეთად სიაოკუშანიდან და ტუშიფანიდან, მაგრამ მალე შესწყვიტეს. 14 ივლისს ჩვენი მზვერავი ყაზახები ჩაუსაფრდენ იაპონიის ქვეითა მზვერავებსა სამხრეთ-დასავლეთად რადიაპუძიდან. ასე ას ნაბიჯზე გაატარეს იაპონელნი იქით, სადაც საფარი იყო, და დაუწყეს სროლა. 12 იაპონელი მოჰკლეს, 20 დასჭრეს და 27 ტყვედ დაგვრჩა. ტყვედ ჩაგვივარდა დაჭრილი უნტერ-აფიცერი და ჯარის კაცი, რომელსაც ის მიჰყავნდა. ორთავენი მეორე გვარდიის პოლკისანი არიან. 12 ივლისს დიდი მანძილი დაზვერეთ. სროლაში იყო ორი ბატალიონი იაპონელთა. ჩვენ დაგვიჭრეს პარუჩიკი ივანოვი და 6 ჯარის კაცი.

**მუკდენი.** 16 ივლისს (საკუთ. კორ.). როგორც ინკოუდან მოსულნი ამბობენ, ჩვენმა ჯარმა დასტოვა ქალაქში 12 ივლისს დილის 9 საათზე, თან წაიღეს მთელი სურსათი და მთლად რკინის გზის კუთვნილება. ჩვენი ჯარების გასვლის შემდეგ ბევრმა მცხოვრებთაგანმა ძარცვა-გლეჯა დაუწყო ვაგზალსა და სახლებსა. იაპონიის მოწინავენი შევიდნენ ქალაქში დილისით 5 საათზედ და ყარაულები დააყენეს მეიდანზედ და ზოგიერთ საადმინისტრაციო სახლებთან. ჩინელი ქალაქის მოხელენი გამოეგებნენ იაპონელებსა. მილიცია იმათ მხარეს გადასულა. ინკოუში დარჩენილი რუსნი საფრანგეთის მფარველობის ქვეშ არიან. ძვირფასი ნივთები რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილებიდან წინადვე გამოიტანეს.

**პეტერბურგი.** დეპეშა ვიცე-ადმირალ სკრიდლოვისა მის უდიდებულესობასთან 15 ივლისით: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ 15 ივლისს ვლადივოსტოკს მოვიდა ლეიტენანტ ვლადისლავლევის უფროსობით გერმანიის გემი «არაბია», რომელც შეიპყრა 9 ივლისს სათარეშო გემთა რაზმმა იოკოგამის ჩრდილოეთად. გემის ქალალდების გასინჯვამ აღმოაჩინა, რომ გემზედ იყო 1200 ტონნი სარკინის გზო მასალა იაპონიის სხვა და სხვა ნავთსადგურებში მისატანად—იკოგამას, კობეს და ნაგასაკს, იყო აგრეძვე 20,500 ტომარა ფქვილი. ეს «არაბიას» ტვირთი, როგორც ცნობილი საიმპერატორო მთავრობისაგან სამხედრო კონდრაბანტად, კონტრ-ადმირალ იესსენისაგან გაიგზავნა უმახლობელესს ნავთსადგურში—ვლადივოსტოკს, რომ ამ გემის საქმე განეხილა ადგილობრივ სადავლო სასამართლოს. გემი «არაბია» იტევს 7,500 ტონს, აშენებულია 1904 წ., ეკუთვნის გერმანიის კამპანიას «ჰამბურგ-ამერიკას», დაქირავებულია სამხრეთ-ამერიკის კამპანიის «პორტლანდ—აზიის კომპანიისაგან» სავლელად ამერიკასა და იაპონიის შუა, და აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთის სხვა პორტების შორისაც.

**ლონდონი** საზოგადოებათა პალატა. ბალფურმა, გასცა რა შეკითხვაზე პასუხი, სთქვა, ცოტა-ღა უნდა დავუმატო იმას, რაც ამჟამად ყველამ უწყის. პალატა ეხსომება, რომ გემი «მალაკკა» შეიპყრო 30 ივნისს თავისუფალ ფლოტის გემმა, რომელიც ეხლახან გამოვიდა შავი ზღვიდან. მთავრობამ ამისთანა საქციელის გამო პროტესტი გამოაცხადა იმ მოსაზრებით, რომ არც ერთს სამხედრო გემს არა აქვს შავი ზღვიდან გამოსვლის უფლება, რომ, ჩვენის აზრით, თავისუფალ ფლოტის გემსაც, უკეთუ შავი ზღვიდან გამოვა და დაიწყობს ისეთს მოქმედებას, რაც სამხედრო გემს შეესაბამესა, ან უფლება არა აქვთ შავი ზღვიდან გამოსვლისა, ან არ უნდა ჩაიდინონ ის, რაც იმათ ჩაიდინეს. შემდეგ ბალფურმა შენიშნა, რაც შეეხება თავისუფალ ფლოტის გემებს, საქმე ცხრება, რადგანაც რუსეთს არა აქვს განზრახვა კვლავ მოიხმაროს ისინი სათარეშო გემებად. ბოლოს ორატორმა წარმოსთქვა, იმას არ შეუძლიან ბეჯითად დაამტკიცოს, რომ

---

ვნეულად გადაჰხედავს ხოლმე მის ფეხთით გაშლილს ქალაქსა.

მაშ!...

ნანა ქალაქთ მაგალითო,
ქართლის თვალო და მშვენება,
დაიძინე, თუ კი რომ გსურს
საუკუნო განსვენება!...

ა. დარჩიაშვილი.

## ჩვენებური ამბები.

**თელავის-ხევი.** უკაცრავად, ბატონებო! განჯის-კარელისათვის «თაბახ-შლაპოსან» ქალებს სულაც არ უცემიათ, როგორც წარსულ ივერიის «მურდულში» იყო ნათქვამი, ზონტიკებითა. «თაბახ-შლაპოსანი» ქალები ზონტიკებს აღარ ხმარობენ, ახალ მოდის შლაპებს საკმარისი სიფართე აქვსო და ზონტიკი რაღად გვინდაო, ასე ბრძანებენ კინტოს მოცილე ქალები; თუ კი იმოდენა ხილი და ბოსტნეული დაეტევა ზედა, მზესა და წვიმას როგორ ვერ შეიკავებსო.

ჰო, იმას ვამბობდი, ცემით ჯერ არ უცემიათ, მაგრამ უპირებენ კი, მხოლოდ არა ზონტიკებით, რაღაცა უცნაურის იარაღით—ჩვენს შლაპებს რისთვის არჩმევს თაბახსაო. უსამართლობა თუ გნებავთ ეს გახლავსთ სწორედ: თუ მართალს იტყვი, გცემენ; თუ იცრუებ, გაპატიმრებენ; ხმას არ იღებ და ზედ გასხდებიან. ფუ, ამისთანა დროებას!!..

თელავის-ხეველი.

## ნარევ-ნაკვეს-გასართობი

ოღონდ ჰქონდეს ფული

ეხლა, ამ ჩვენ დროში,
თუ ქალსა აქვს გროში,
თუნდ ჰგავდეს კუნძსა,
იდგეს სასახლეში,
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!

—

თუნდა იყოს ცეტი,
აჩხედი მეტის-მეტი,
ერთის სიტყვით, რა გსთქვა...
თოკით ანაწყვეტი!..
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!..

—

გინდ იცოდეს ცემა,
მომცეს ტანჯვა, გვემა,
ვითომ დავიწუნო?
არა, ჩემმა მზემა!
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!..

—

თუნდა იყოს კუტი,
ყოფა-ქცევით პუტი,
იყოს ჭირვეული,
სუფრაზედ გამბუტი...
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!!.

—

ბევრი არ მაჭამოს,
მტანჯოს და მაწამოს
ყოველ ცისმარ დღესა
ლუკმა გამიშხამოს...
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!!.

—

ცალკე ისადილოს,
სხვასთან ისიდილოს,
დროება ატაროს,
გული გაიგრილოს!..
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!!.

—

მწარე ჰქონდეს ენა,
მომიწამლოს ლხენა,
ფულის გულისთვის
უნდა მქონდეს თქმენა.
ოღონდ ჰქონდეს ფული
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!!.

—

იყოს მცირე გვარის,
ჰყავდეს ნაბიჭვარის...
ერთის სიტყვით, იყვეს
მეტად საზიზღარის.
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!!.

—

თუნდა სჭირდეს ბნედა,
ისტერიკაც ზედა!..
თუ უარი ვუთხრა,
მაშ წამიწყმდეს დედა!
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!!.

—

სახითაც გონჯი,
ტანად ოთხი გოჯი,
თუნდა იყოს ბავშვის
ხელით მონათოჯი.
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!!.

—

ღვთისგან განაჩენი
სჭირდეს ყველა სენი,
ვამბობ მაინც ამას,
ვით გაჭქირი ცხენი,—
ოღონდ ჰქონდეს ფული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!!.

—

იმას ვენაცვალე!
მამთხოვდება მალე,
ფული დაამშვენებს,
ნიშანს მივსცემ ხვალე!!.

—

ოღონდ ჰქონდეს ფული,
მიწა და მამული...
თუ არს ამით სრული,
ვითხოვ! ღმერთი, რჯული!!.

განჯის-კარელი.

## მოგონება.

(მიბაძვა).

მახსოვს პირველად უნივერსიტეტში
წასასვლელათ რომ მომამზადეს,
სამგზავრო ფული მომცეს მე ხელში
და შორს გზასა გამომგზავრეს.

—

ვხედავდი, მშობლებს რომ ვშორდებოდი,
ნაჩვევ ცხოვრებას ვეთხოვებოდი,
დაღონებული მწარედ ვტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი.

—

მხოლოდ ვაგონში ვიღაც უცნობმა
მითხრა: ყმაწვილო, კმარა, ნუ სტირი,
რა გაარიგა ოჯახში მყოფმა,
ვინ მოიშორა თავიდგან ჭირი.

—

გიყვარდეს ბანქო და ქეიფობა,
ქალების დევნა ნუ დაგზარდება
და ის თამაში და არშიყობა
გასიამოვნებს, გამოგადგება.

—

პროფესორების რად გინდა სმენა,
ფუჭია, ძმაო, სწავლის შეძენა,—
არ დაიჯერო, ვითომც საჭიროა.
იყოს რისთვისმე სამშობლო ენა.

—

მერწმუნე, რომა გამოცდილია,—
თუ შენი ჯიბე გამოცლილია,
მაშინ მეგობრის საშოვნელადა
ყოველი შენი შრომა ტყვილია!

—

სთქვა ეს უცნობმა და ჩამომშორდა,
მეც მისი სიტყვა დამანახსოვდა,
უნივერსიტეტში მანამ ვსწავლობდი,
ბანქოს, ღვინოს და ქალებს ვწყალობდი.

არდი-ალი.

## „მურდულის" ფოსტა.

**რაჭ. 3. ქ—ს.** «სამურდულე კნეინა»-ს ვერ ვბეჭდავთ. ლექსი ცოტა მოიფორხილებს; თქვენი სხვა ლექსები არ მიგვიღია. ამ უარმა გული არ აგიცრუოთ. ნუ შეძრკებით; იცოდეთ, ხანდისხან ხელმარჯვედ სცემთ «ჩოგანსა».

**ნიგოიზგვა. მ. მ—ში.** «თავხედი მწყემსი» და «ფიქრი რიჟრაჟზედ» არ დაიბეჭდება: ზოგან ლექსი მოიპროზებს და ზოგან... მოიფორხილებს. ლექსს თავიდამ ბოლომდე, ანკარა წყაროსავით, რაკრაკი უნდა გაჰქონდეს. ეცადეთ და ნუ დაგვივიწყებთ.

**ქუთაისი. 6. ქ.** აბა, თქვენ თითონ დაფიქრებით წაიკითხეთ სათაური თქვენის წერილისა: «ცხელი ამბავი». ცხელცხელი, ახალი, საუცხოვო და სხვანაირი ამბები-კი გაგვიგონია, მაგრამ «ცხელი» კი არა. იყოს ნება თქვენი, მაგრამ ამ თქვენს წერილში რომ არც ცხელი ამბავი ჰყრია და არც ცივი.... არ ვარგა ასე აჩქარება....

**სამტრედია. ა. პ.** დაგვიხსენით თქვენის ლექსების კითხვით ამ სიცხე-პაპანებაში.

## „მურდულის" დეპეშა

(მურდულის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**თეირანი.** ტფილისი შეშინებულა, ხორველა მეწვევა და უნდა კარგა გავუმასპინძლდეო. დღეს თეირანის ქუჩებზე ხორველამ განცხადება გამოაკრა: გიჟი ხომ არა ვარ ტფილისში ჩავიდე, უჩემოდაც ბევრი იხოცებაო, უნდათ ჩამიტყუილონ და ჩაილურის წყალი დამალევინონო. არც ქუთაისს მივალ, იქაური მტვრისაგან ღმერთმა დამიხსნას. გზად მხოლოდ გორს გავივლი, ერთობ წმინდა ქალაქია, ის თუ გამიმასპინძლდებაო.

**ქუთაისი.** სამსონ თოფურიას საავადმყოფოს ასფუთიანი ბოქლომი ადევს, ამის აგლეჯას სამსონისთანავე სამსონი უნდა. იქნება სულაც დაიკეტოსო: თუ სამსონი დავთმეთ, დეე, საავადმყოფოც ზედ იყოს, ეგეც დაგვითმიაო.

**სამტრედია.** სამკითხველოში ნებადართულია ლაპარაკი და თუთუნის წევა. ამ ცისმარე დღე ყაყანია, თუთუნის ბოლში კაცს ვერ გაარჩევ. ამბობენ, წუხელის სამკითხველოს გამგე თუთუნის ბოლში დამხრჩალაო. ღმერთმა ნუ ჰქმნას! სადღა ვიშოვით იმისთანას.

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

ვითომ რუსისა და ინგლისის მთავრობანი უკვე შეთანხმდენ პრინციპიალურის საგნის გათავებაში, მაგრამ მაინც, არა მგონია, დაარღვიონ ძველი წესი. ინგლისის მთავრობის შეხედულობით ამ საქმეს თან ახლავს ზოგიერთი ისეთი საგნები, რომელთაც თუმცა პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ ამ ინციდენტთან, მაგრამ საჭიროებენ კი ორთავ სახელმწიფოთაგან განმარტებას, და რომელნიც სახიფათო მიზეზს იძლევიან.— გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხსენებაში ნათქვამია, რუსეთის სახელმწიფომ გვაცნობა, გემ «ნაიტ-კომანდერ»-ის დაღუპვის საქმე შვიდობით გათავდებაო.— საზოგადოებათა პალატა. თავის სიტყვაში ბალფური შეეხო გემ «ნაიტ-კომანდერ»-ის დაღუპვას და გამოსთქვა, ეს ინციდენტი სერიოზულს საქმეს გააჩენს, თუ, როგორც ცნობებიდგან სჩანს, ეს გემი, მეზღვაურთა გადმოსხმის შემდეგ, დაღუპა ვლადივოსტოკის ესკადრამ იმიტომ, რომ ვითომ იმაზე სამხედრო კონტრაბანდი იყო. ჩვენის აზრით, ამნაირი საქციელი სრულიად ეწინააღმდეგება ერთა შორის მიღებულის ჩვეულებებსა.—ლორდთა პალატა. ლორდთა პალატას წარუდგინა ლანსდოუნმა ბალფურის სიტყვის პასუხი და გამოსთქვა, ინგლისის მთავრობამ პროტესტით მიჰმართა რუსის მთავრობას გემ «ნაიტ-კომანდერ»-ის დაღუპვის შესახებ და მოითხოვა, გაანთავისუფლოს გემის მეზღვაურნი.

**ვენა.** ავსტრო-უნგრეთის მთავრობამ თავის ელჩის პირით რუსის მთავრობას სამძიმარი გამოუცხადა პლევეს სიკვდილის გამო.

17 ივლისი.

**ტოკიო.** (ვოლფის სააგ.) იაპონიის მთავრობამ ურჩია კორეის მთავრობას, გამოგზავნით მოთათბირე-მოვაზირეს სეულშიო. კორეის იმპერატორმა ითხოვა, მაგ თანამდებობაზედ დანიშნეთ მარკიზი იტოო.—ვლადივოსტოკის ესკადრა ჯერ ისევ ტოკიოს ყურეს მახლობლად არის. ძალიან შეფიქრიანებულნი არიან სამოსწავლო გემის „კოტონო-მარუსა“ და საფოსტო გემის „კორეის“ ბედითა. არაფერი არ იციან აგრეთვე ბევრის სხვა გემის ბედისაცა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ბალფურმა სთქვა, რომ რუსეთის სამხედრო გემი «დიმიტრი დონსკოი» პორტსაიდში დატვირთეს 500 ტონის ქვა-ნახშირითა, რაკი გემის უფროსმა სთქვა, რომ პირდაპირ კადიქსა და კრონშტადს მივდივარო: ნამდვილად-კი შუა ზღვაში გაჩერდა და შეიპყრო ექვსი სავაჭრო გემი, მათ შორის ორი ინგლისისა, და სჩხრეკავს. ინგლისის მთავრობის აზრით, ამას იქით, არ უნდა მიეცეს ნება დაიტვირთოს ქვა-ნახშირით არც ერთს გემს, თუ ის გემი ამ ნახშირს სხვა რამ- საქმისათვის გამოიყენებს, და არა იმისათვის, რისთვისაც მიიღო.

**ვეი-ჰაი-ვეი.** 17 ივლისს დაბრუნდება აქ ინგლისის ესკადრა.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** დაიწყო ნიჟეგოროდის ბაზრობა. საქონელი საზოგადოდ ბლომად მოვიდა.

**პეკინი.** (რეიტერი) როგორც ხმა ისმის, გადასახადთა მოკრეფის გამგედ ნამყოფი ხუნანში დაინიშნა ვითომ მანჯურიის პროვინციის გამგებლადაო.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო სეკრეტარმა გეიმ დეპეშა მისწერა ლამზდორფს და სამძიმარი გამოუცხადა, დაჰკარგე ამხანაგი, რომელიც საშინელის ბოროტმოქმედების მსხვერპლი შეიქმნაო.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭომ ითათბირა ვატიკანის საქმეთა შესახებ. თათბირმა რაც გადასწყვიტა, საიდუმლოა. მაგრამ მაინც ჰგონებენ, რომ სრულად მოსპობილ იქმნება სადიპლომატო კავშირიო, საფრანგეთის საელჩო ვატიკანში და პაპის ნუნცი პარიჟში დასტოვებენ 17 ივლისს იმ ქალაქებს, რომელშიაც იმყოფებიან. უარ ჰყოფენ იმ ხმას, ვითომ გენერალი ნეგრიე სამსახურს თავს ანებებსო.

**პეტერბურგი.** გენერალ-მაიორი პორეცკი დაინიშნა ლეიბგვარდიის იზმაილოვსკის პოლკის კომანდირად.

**ლონდონი.** (რეიტერი) კუროკის უმთავრესი სადგურიდგან იუწყებიან, რუსები ახალს სიმაგრეებს აკეთებენ მოდულინის უღელტეხილის წინ.

**ტიანძინი.** (რეიტერი). 17 ივლისს ნაშუადღევის ორ საათამდე ისმოდა ძლიერი ზარბაზნის სროლა ნიუ-ჯუანის იქით. რუსეთის სამოქალაქო უფლების წარმომადგენელი ნიუ-ჯუანიდან პეკინს წავიდა.

**სეული.** (რეიტერი). ამბობენ ტონგაკებს განზრახვა აქვთ სოფლებში ხალხი ააჯანყონ იაპონელების წინააღმდეგ.

**ჩიფუ.** (რეიტერი). პორტ-არტურიდგან გამოქცეულნი ამბობენ, 15 ივლისს ღამე ნაღმებმა დაღუპა იაპონელთა სათარეშო გემი და საკანონერო ნავიო. 16 ივლისს პორტ არტურიდგან მოვიდა ნავი, მოიყვანა 30 უცხოელი. ისინი გამოსულან პორტ-არტურიდან 15 ივლისს და ამბობენ, 13, 14 და 15 ივლისს როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე ციხის აღმოსავლეთად და ჩრდილო აღმოსავლეთად ბრძოლა არისო. ფიქრობენ რომ საერთო იერიში დაიწყო. ირწმუნებიან, ალყის შემორტყმიდან ამისთანა ძლიერი ყუმბარების სროლა ჯერ არ ყოფილაო. რუსის სიმაგრეებმა აგრე რიგად ძალუმი პასუხი არ გასცეს. მარშალი ოიამა დალნიდან წამოსულა 13 ივლისს და თვით პირადად ხელმძღვანელობს იერიშსაო. გამოქცეულები ამტკიცებენ, რომ იაპონიის ესკადრა ცუდს მდგომარეობაშიაო.

**ჩიფუ.** (რეიტერი). დღეს მომსულნი გამოქცეულნი რუსნი ამბობენ ინგლისის გემის «ხიფსანგის» რუსთაგან დაღუპვის შესახებ შემდეგსა: «3 ივლისს «ხიფსანგმა» გაუარა მტრედის ნავსადგურს სამს მილზე. აქეთ-იქიდან გემის ცხვირს ოთხჯერ ესროლეს. გემი არ გაჩერდა, მაშინ ესროლეს კიდევ ოთხჯერ გვერდში, რადგან მაინც წასვლა დააპირა გამოეკიდა ნაღმოსანი, რომელმაც ზღვაში ჩაღუპა გემი. მოკლულია ოთხი ჩინელი მეზღვაური, 8 ჩინელი პასაჟირი დაჭრილია. უცხოეთის აფიცრები და ერთი უცხოელი პასაჟირი პორტ-არტურს მოიყვანეს. «ხაფსანგის» კაპიტანი დააპატიმრეს იმიტომ, რომ არ გაჩერდა.

**სან-ფრანცისკო.** (რეიტერი). შუადღის შემდეგ წავიდა გემი «მონგოლია» იაპონიისაკენ, წაიღო დიდძალი რელსები და სამხედრო სურსათი. ამნაირის ტვირთით კიდევ რამდენიმე გემი წავა იაპონიას.

**პეტერბურგი.** გენ. სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბში, 9 ივლისის თარიღით: აღმოსავლეთით, შუბლის ჯართან, 15 ივლისს მომხდარ დაზვერვის დროს აღმოაჩინეს სამი პოლკი მტრის მოწინავე ქვეითა ჯარისა და ცხენოსანთა ხუთის ესკადრონისა 18 ზარბაზნით სიხეიანის სამხრეთ-დასავლეთით (ლიაოიანიდგან 55 ვერსზედ აღმოსავლეთით): თხავუანის სამხრეთად იაპონელთა მზვერავები მოულოდნელად თავს დაესხნენ ჩვენს მზვერავებს, მაგრამ ჩვენებმა თოფები დაუშინეს 600 ფეხის ნაბიჯზედ და იაპონელები გაჰფანტეს. სამხრეთის შუბლის ჯარის მზვერავებმა 15-სა და 16 ივლისს აღმოაჩინეს მტრის საკმაოდ ძლიერის ჯარის მოძრაობა; მტერს მიჰყავდა აგრეთვე ურმებიც და მიემართებოდა აღმოსავლეთიდგან დასავლეთად. 16 ივლისს იაპონელების რაზმმა, ერთმა ქვეითა პოლკმა ბატარეიით და ცხენოსანთა პოლკმა შეუტია სიბუჩენის სამხრეთით ხუჯუატუნიდგან დაიძაგოუსაკენ (ხუჯუატუნიდგან 3 ვერსზედ ჩრდილოეთით). იაპონელთა მოძრაობა შეაჩერა ჩვენის არიერგარდის არტილერიისა და თოფების სროლამ. ჩვენ დავკარგეთ ექვსი კაცი მოკლული და დაჭრილი.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

16 ივლისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | $37,37^{1}/_{2}$ |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . . | 94,80 |
| ბერლინში „ . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . . | 37,55 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . . | $6—7^{1}/_{2}\%$ |

| | |
|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $92^{3}/_{8}$ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | $88^{7}/_{8}$ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | $390^{1}/_{2}$ წვ. გაჲ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | $300^{3}/_{4}$ წვ. გაყ |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | $260^{1}/_{4}$ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^{1}/_{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — |
| $4^{1}/_{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | $88^{1}/_{8}$ წვ. გაყ. |

# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 28 მკათათვისათვის, დღისით, 12 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

იჯარით გასაცემათ რიყის ექსპლუატაციისა მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ სიპის ქვისა და ქვიშის ამოსაღებად. პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის სადგომში დილის 10 საათიდამ 1 საათამდე, საქმის დღეებში. (3—6—3).

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

## „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## და რსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| მარითადა თანხა . . . . . | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხ . . . . . | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უოძრავ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლში, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—42)

ძ ვ ი რ ფ ა ს ი ს ა ჩ უ ქ ა რ ი ო ქ რ ო დ ა ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ი

**როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**

მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნებ 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

## იაფი გარნიტური

**მ ხ ო ლ ო დ 4 მ ა ნ. 45 კ ა პ. გ ა გ ზ ა ვ ნ ი თ**

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის ს ა ა თ ს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძ ე წ კ ვ ს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბ რ ე ლ ო კ ს, კ ო მ პ ა ს ს ან ბ ი ნ ო კ ლ ს ან ვ ე ნ ზ ე ლ ს, 4) ს ა წ ე რ ი ა რ ა ღ ს. რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მ ე შ ი ს კ ო ხ ტ ა ქ ი ს ა ს სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტ ყ ა ვ ი ს, პ ო რ ტ მ ო ნ ე ს ქ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

**ვინც ორ ვე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Луврь“. Варшава $^{32}/_{323}$*

აზიის რუსეთში და ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3.



## ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მსწრაფლ-მაკალოშები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების **საუკეთესო** მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს,

## ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი ს

## „ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—18).